მსოფლიოს
10 საუკეთესო
მუზეუმი

This product is made possible through the generous support of the All Children Reading partners: the United States Agency for International Development (USAID), World Vision and the Australian Agency for International Development.
It was prepared by Centre for Civil Integration and Inter-Ethnic Relations and does not necessarily reflect the views of the All Children Reading partners.

მომზადებულია პროგრამის - „ყველა ბავშვი უნდა კითხულობდეს - უდიდესი გამოწვევა განვითარებისთვის“ პარტნიორთა - აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), World Vision-ისა და ავსტრალიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (Australian AID) მხარდაჭერით.
წიგნი მომზადდა „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის“ მიერ და შესაძლოა არ ასახავდეს (ან არ ემთხვეოდეს) პროგრამის პარტნიორთა შეხედულებებს.

ავტორი: **ელენე ჯაჯანიძე**

რედაქტორი: **ნათია გორგაძე**

დიზაინერი: **ილია ჭრელაშვილი**

თბილისი
2013

XIX დონე

მსოფლიოს 10 საუკეთესო მუზეუმი

კითხვის კიმე

დონეებად დაყოფილი საკითხავი წიგნები
ბავშვებისათვის

www.reading.ge

მსოფლიოში ბევრი მუზეუმი და გალერეაა. მუზეუმი შეიძლება იყოს დიდი ან პატარა. ზოგ მუზეუმში ძველი ნივთებია გამოფენილი, ზოგში - თანამედროვე. მუზეუმი სხვადასხვა სახის არსებობს, მაგალითად: ხელოვნების მუზეუმი, თოჯინების მუზეუმი, არქეოლოგიური მუზეუმი და სხვა. მუზეუმებში ბევრი საინტერესო ნივთი ინახება. მათი დათვალიერება ყველას შეუძლია. ზოგიერთი მუზეუმი ნაკლებად ცნობილია, ზოგი კი - ძალიან ცნობილი. ჩვენ ამ წიგნში ათი ყველაზე ცნობილი მუზეუმისა და გალერეის შესახებ მოგიყვებით. ისინი მსოფლიოს სხვადასხვა ქალაქში მდებარეობენ.

სმითსონის ინსტიტუტი

ყველაზე ცნობილ მუზეუმებს შორის პირველ ადგილს სმითსონის ინსტიტუტი იკავებს. სმითსონის ინსტიტუტში ერთიანდება 19 მუზეუმი და გალერეა. სმითსონის ინსტიტუტი ვაშინგტონში მდებარეობს. მის მუზეუმებში წარმოდგენილია ნივთები, რომლებიც ამერიკის ისტორიას ასახავს. სმითსონის

ინსტიტუტს აქვს საკუთარი ზოოლოგიური პარკი და ობსერვატორია. ზოოლოგიურ პარკში უამრავი სხვადასხვა ჯიშის ცხოველი ბინადრობს. ობსერვატორიაში ასტროლოგები ციურ სხეულებს აკვირდებიან. სმითსონის ინსტიტუტი არქეოლოგიურ გათხრებსაც ხელმძღვანელობს. გათხრების დროს ნაპოვნი ნივთები სმითსონის მუზეუმებს ამდიდრებს.

სმითსონის ინსტიტუტი 1846 წელს დაარსდა. მას სახელი ამერიკელი მეცნიერის ჯეიმს სმითსონის პატივსაცემად უწოდეს.

სმითსონის ინსტიტუტი

ლუვრი

ლუვრი

ლუვრი მსოფლიოში ცნობილი მუზეუმია. ლუვრი პარიზის შუაგულში მდებარეობს. აქ წლების განმავლობაში საფრანგეთის მეფეები და მათი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ. დღეს ლუვრის სასახლე მუზეუმია და ყოველწლიურად მილიონობით მნახველს იღებს. 2011 წელს ლუვრს ყველაზე მეტი მნახველი ეწვია. მათმა რიცხვმა 8, 8 მილიონს მიაღწია.

მუზეუმში სხვადასხვა დროისა და კულტურის ექსპონატები ინახება. აქ შეხვდებით უძველეს ეგვიპტურ, ეტრუსკულ და ბერძნულ ქანდაკებებს, საოჯახო ნივთებს, ძვირფასეულობას და ცნობილი მხატვრების ტილოებს. მუზეუმში სულ 300 000 **სამუზეუმო ექსპონატი** ინახება. თუმცა გამოფენილია მხოლოდ 35000. დანარჩენი ექსპონატები მუზეუმის საცავებში ინახება. ისინი წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვით გამოაქვთ და მნახველს მათი დათვალიერების საშუალება ეძლევა.

ლუვრის მუზეუმში ინახება ლეონარდო და ვინჩის **ცნობილი ტილო** „მონა ლიზა“. მუზეუმის ყველაზე ცნობილი ექსპონატია ვენერა მილოსელის ქანდაკება.

ლუვრის მუზეუმის ფონდის შევსება საფრანგეთის სამეფო კარის ქონებიდან დაიწყო. მეფეები ხშირად ყიდულობდნენ ცნობილ ნახატებსა და ძვირფას ანტიკვარულ ნივთებს. ხანდახან მათ საჩუქრადაც იღებდნენ. მთელი ეს ქონება ლუვრის მუზეუმის საკუთრება გახდა.

გარდა ამისა, ნაპოლეონ ბონაპარტეს დროს, სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოიტანეს ომის შედეგად მოპოვებული ნადავლი: ქანდაკებები, ტილოები, ძვირფასი სამკაულები. მეოცე საუკუნის ბოლოს კოლექციონერმა როტშილდმა მუზეუმს თავისი ანტიკვარების კოლექცია საჩუქრად გადასცა. დღეს ლუვრი ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი მუზეუმია.

ათენის აკროპოლისის მუზეუმი

ათენის აკროპოლისი

აკროპილისის მუზეუმი საბერძნეთის დედაქალაქ ათენში მდებარეობს. მუზეუმში მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური ნივთი, იშვიათი ბერძნული სამკაულები, უძველესი საოჯახო იარაღები და ულამაზესი ქანდაკებები ინახება.

აკროპოლისის მუზეუმი აგებულია ათენის აკროპოლისის მახლობლად. ეს სახელი სწორედ ამის გამო დაარქვეს.

საერთოდ, აკროპოლისი მაღლობზე გაშენებულ ქალაქს ნიშნავს. აკროპოლისი ბერძნული სიტყვაა. „აკროს“ ქართულად ნიშნავს ზედას, „პოლის“ - ქალაქს. აკროპოლისი ძველ საბერძნეთში ქალაქიც იყო და ციხესიმაგრეც. რადგან ის შემაღლებულ ადგილზე მდებარეობდა, მტრისგან დაცული იყო. აკროპოლისში ცხოვრება ბევრად უფრო კარგი იყო, ვიდრე ქვედა ქალაქში. ის ქალაქის ცენტრი იყო. აკროპოლისები საბერძნეთის სხვადასხვა ქალაქშია. ყველაზე ცნობილი ათენის აკროპოლისია. ათენის აკროპოლისში მდებარეობს ათენას ცნობილი ტაძარი და იქვეა აკროპოლისის მუზეუმიც. მუზეუმი ააგო არქიტექტორმა ბერნარდ ჩუმმა. ყოველწლიურად ათენში ჩამოსული ათასობით ტურისტი ნახულობს მუზეუმსა და ათენას ტაძარს.

ერმიტაჟის მუზეუმი

ერმიტაჟი ულამაზესი სასახლეა, სადაც ადრე რუსეთის მეფეები ცხოვრობდნენ. დღეს ერმიტაჟში მსოფლიოში ცნობილი მხატვრების ნახატები, რუსული ანტიკვარული და სამეფო ნივთებია წარმოდგენილი. აქ თქვენ ნახავთ მსოფლიოს

სხვადასხვა კუთხიდან ჩამოტანილ ცნობილ ნახატებს, ძვირფას სარკეებსა და ოქროს ნაკეთობებს.

ერმიტაჟის მუზეუმი სანკტ-პეტერბურგში მდებარეობს. მუზეუმი ექვსი ძირითადი სასახლისგან შედგება. სასახლეები მდინარე ნევას გადმოჰყურებენ, მათი ფანჯრებიდან კი სანკტ-პეტერბურგის ულამაზესი ხედი იშლება.

ერმიტაჟი

ერმიტაჟის მუზეუმის შექმნას რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე დიდმა ჩაუყარა საფუძველი. მან ელჩებს დაავალა, უცხოეთში ანტიკვარული ნივთების კოლექციები შეეძინათ და პეტერბურგში ჩამოეტანათ. ასე დაიწყო სამუზეუმო ექსპონატების მოგროვება.

მუზეუმის კოლექცია სამხრეთ რუსეთში, არქეოლოგების ნაპოვნმა ბერძნული და სკვითური კულტურის ნივთებმაც გაამდიდრა. 1945 წელს კი საბჭოთა კავშირის წითელმა არმიამ ბერლინის მუზეუმიდან რუსეთში უდიდესი ოქროს კოლექცია ჩამოიტანა. ოქროს კოლექცია გერმანელმა არქეოლოგმა შლიმანმა აღმოაჩინა. ეს კოლექცია ისტორიულ ქალაქ ტროას ეკუთვნოდა და დღეს ერმიტაჟშია გამოფენილი.

მალე მუზეუმის შენობამ ექსპონატები ვეღარ დაიტია და რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ პირველმა გერმანელ არქიტექტორს ახალი სასახლე ააგებინა, სადაც სხვადასხვა კოლექცია გამოფინეს.

საბჭოთა კავშირის არსებობის დროს ერმიტაჟის მუზეუმისათვის ნივთების შეძენა შეწყდა. უფრო მეტიც, მუზეუმიდან ბევრი ძვირფასი ნივთი გაიყიდა. ამ დროს გაიყიდა რაფაელის „მადონა ალბა“, ტიციანის „ვენერა სარკით“ და ვან ეიკის „სახარება“. ეს ნახატები ამერიკელმა კოლექციონერმა იყიდა და დღეს ვაშინგტონის სამხატვრო გალერეაშია გამოფენილი. 2002 წელს ერმიტაჟში დოკუმენტური ფილმი „რუსული არკა“ გადაიღეს. ფილმში ნაჩვენებია ერმიტაჟის მუზეუმის ექსპონატები და მოთხრობილია მათი ისტორიების შესახებ.

ბრიტანეთის მუზეუმი

ბრიტანეთის მუზეუმი მსოფლიოს უძველესი მუზეუმია. ის ინგლისის დედაქალაქ ლონდონში მდებარეობს. ბრიტანეთის მუზეუმი ადამიანის ისტორიისა და კულტურის ყველაზე მნიშვნელოვან მუზეუმად ითვლება. ადამიანის არსებობის და განვითარების მთელი ისტორია ამ მუზეუმშია თავმოყრილი. მუზეუმი დაარსდა 1753 წელს. თავდაპირველად მუზეუმში მხოლოდ ინგლისელი ფიზიკოსის ჰანს სლოანის კოლექცია იყო განთავსებული. მუზეუმს შემდეგ რამდენიმე სხვა კოლექციაც

შეემატა. საზოგადოებისათვის ბრიტანეთის მუზეუმი 1759 წელს გაიხსნა. მას დღემდე ათასობით მნახველი ჰყავს.

ბრიტანეთის მუზეუმი

პრადოს მუზეუმი

194 წლის წინ, ესპანეთის ქალაქ მადრიდში, ერთ-ერთ ულამაზეს სასახლეში, ხელოვნების მუზეუმი გაიხსნა. სასახლე გვიანდელი ესპანური კლასიცისტური სტილითაა აგებული.

მუზეუმს პრადოს სახელი უწოდეს. პრადო მუზეუმთან მდებარე პარკს ჰქვია, მუზეუმსაც ამ პარკის სახელი დაერქვა.

„პრადო“ ესპანური სიტყვაა და ქართულად „მინდორს, ველს“ ნიშნავს.

პრადოს მუზეუმში გამოფენილია მე-14 - მე-19 საუკუნეების ხელოვნების უძვირფასესი ნიმუშები. აქ ნახავთ ტიციანის,

რაფაელის, გოიას, რემბრანდტის, ველასკესისა და სხვა ცნობილი მხატვრების ტილოებს.

პრადოს მუზეუმი

თურმე ველასკესმა თავისი ნახატების დიდი ნაწილი პრადოს მუზეუმს საჩუქრად გადასცა.

ესპანეთის დედოფლები და მეფეები წლების განმავლობაში გულმოდგინედ აგროვებდნენ ცნობილი მხატვრების ნახატებს და მუზეუმს ჩუქნიდნენ.

დღეს მადრიდის პრადოს მუზეუმი მსოფლიოში უმდიდრესი ხელოვნების მუზეუმია.

მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი

მანჰეტენზე, ნიუ-იორკში, მსოფლიოში ცნობილი მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი მდებარეობს. ეს მუზეუმის მთავარი შენობაა. მუზეუმს აგრეთვე ეკუთვნის მანჰეტენის ჩრდილოეთით მდებარე შენობათა კომპლექსი. ამ შენობებში შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი.

მეტროპოლიტენის ხელოვნების მუზეუმი

მუზეუმი 1872 წელს გაიხსნა. მისი დამფუძნებელია ჯორჯ პალმერ პატნემი. მუზეუმს მრავალფეროვანი კოლექცია აქვს. აქ წარმოდგენილია როგორც ევროპული ხელოვნების ნიმუშები, აგრეთვე ძველი ბერძნული, ეგვიპტური ხელოვნების ექსპონატები. მუზეუმში დიდი ადგილი აქვს დათმობილი ამერიკულ, აზიურ და აფრიკულ ხელოვნების ნიმუშებსაც.

მუზეუმის ყველაზე ცნობილი ექსპონატია გერმანელი მხატვრის, ალბრეხტ დიურერის „ადამი და ევა“. ხოლო ყველაზე ძვირადღირებული ტილოა დუჩის „მადონა ყრმით“. ეს ნახატი მუზეუმს 45 მილიონი დოლარი დაუჯდა.

ვატიკანის მუზეუმები

არცერთ ქალაქში არ არის იმდენი მუზეუმი, რამდენიც ვატიკანში. მუზეუმები მე-16 საუკუნეში რომის პაპმა იულიუს მეორემ დააარსა.

ვატიკანი

ვატიკანის მუზეუმებიდან ყველაზე ცნობილია პიო-კლემენტინოს მუზეუმი, რომელიც ბელვედერის სასახლეში მდებარეობს. პიო-კლემენტინოს მუზეუმში წარმოდგენილია

ცნობილი ბერძნული და რომაული ხელოვნების ნიმუშები: ქანდაკებები, მოზაიკა და სხვა.

მუზეუმებით მდიდარია რომის პაპის სასახლეც. მუზეუმები გახსნილია ვატიკანის ბიბლიოთეკებშიც. 2007 წელს ვატიკანის მუზეუმებს ყველაზე მეტი, 5 მილიონამდე მნახველი ჰყავდა.

უფიცების გალერეა

უფიცების გალერეა იტალიის ულამაზეს ქალაქ ფლორენციაში მდებარეობს. გალერეა არქიტექტორმა ჯორჯო ვაზარიმ ააგო. უფიცების გალერეა განთავსებულია ორ სასახლეში. მათ პატარა ვიწრო ეზო აერთიანებთ. ეს ეზო გალერეის მნიშვნელოვანი ნაწილია. ეზოში წარმოდგენილია ცნობილ ხელოვანთა ქანდაკებები.

უფიცების გალერეა

უფიცების გალერეისთვის კოლექციის შეგროვება მედიჩების სამეფო ოჯახმა დაიწყო, კოლექციის შემენა დღემდე გრძელდება. უფიცების გალერიის ყველაზე ცნობილი ექსპონატია ბოტიჩელის „ვენერას დაბადება“.

ამსტერდამის სახელმწიფო მუზეუმი

ამსტერდამის სახელმწიფო მუზეუმის ექსპონატები უმთავრესად ასახავს ნიდერლანდების ისტორიას. მუზეუმის სტუმარს შეუძლია ნახოს ნიდერლანდელი მხატვრების ტილოები, ხელით ნაკეთი ხელოვნების ნიმუშები, ნიდერლანდების ისტორიული არტეფაქტები და სხვა.

ამსტერდამის სახელმწიფო მუზეუმი

მცირე რაოდენობით ასევე წარმოდგენილია აზიური ანტკივარული ნივთები და ხელოვნების ნიმუშები. მუზეუმს აქვს საკუთარი ბიბლიოთეკა და ჩართულია კვლევით სამუშაოებში.

მუზეუმის ყველაზე ცნობილი ნახატია რემბრანდტის „ღამის გუშაგი“.

ბოლოსიტყვაობა

მუზეუმი ასახავს ადამიანის შემოქმედებას. მუზეუმები და გალერეები საზოგადოების განვითარებისათვის არსებობენ. მუზეუმი ასწავლის, განათლებას და სიამოვნებას ანიჭებს ხელოვნებისა და ისტორიის მოყვარულ ადამიანებს.

გამომცემელი: „სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრი“

დონე	XIX
ტექსტში სიტყვების რაოდენობა	1078
ლექსიკური ერთეულების რაოდენობა	787
წინადადებაში სიტყვების საშუალო რაოდენობა	5

www.reading.ge